



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველო თვის პროგნოზი

2026

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საბარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი.....	10
ფულადი ბაზარი.....	13
მონეტარული აგრეგატები.....	14

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259


ინფლაცია

მარცში წლიურმა ინფლაციამ 4.3% შეადგინა, ხოლო თებერვალთან შედარებით ფასების საერთო დონემ 0.8%-ით მოიმატა.


მწვავე გეოპოლიტიკური ვითარების, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომისა და ცრანსპორტირების შეფერხებების ფონზე, ნავთობის საერთაშორისო ფასებმა მკვეთრად მოიმატა. შედეგად, საწვავის ფასებს გლობალურად და მათ შორის საქართველოში, ზრდის ტენდენცია აქვს. წინა თვესთან შედარებით, მთლიანი ინფლაციის ზრდა მეტწილად სწორედ საწვავის ფასების მატებამ განაპირობა. ამასთან, საწვავის ფასების ზრდის ინფლაციაზე გავლენა მარცის მონაცემებში მხოლოდ ნაწილობრივ აისახა.

საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მერყევ სურსათის, ენერგომადარებლების და თამბაქოს ფასებს გამოორიცხავს, მარცში 2.4% შეადგინა.

თვის ინფლაცია 0.8% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წლიური ინფლაცია 4.3% (მნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

მარცში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოთაღნიშნული მიზეზის გამო, საწვავის გაძვირება იყო. ბენზინი და დიზელი საშუალოდ შესაბამისად, 5.1% და 10.6%-ით გაძვირდა, ხოლო ამ ორი პროდუქტის ჯამურმა წვლილმა თვის ინფლაციაში 0.26 პროცენტული პუნქტი (პპ) შეადგინა.


წლიურ მარცში, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად კვლავ სურსათის ინფლაცია აისახება. თუმცა გასულ თვეებთან შედარებით სურსათის და უალკოჰოლო სასმელების წვლილი შემცირებულია. მარცში ამ ჯგუფის ინფლაციამ 7.5%, ხოლო წვლილმა ინფლაციაში 2.6 პპ შეადგინა. აქედან ყველაზე დიდი გავლენა პურს (0.7 პპ), ძროხის ხორცს (0.4 პპ) და მზესუმზირის ზეთს (0.2 პპ) ჰქონდა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია, ოქროს ბეჭედის (0.3 პპ), სიგარეტის (0.3 პპ) და ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის (0.4 პპ) წვლილები ინფლაციაში.

ინფლაციის შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაიაფება მოქმედებს. ტელევიზორის, მაცივრის, სარეცხი მანქანის და კომპიუტერის გაიაფებამ ჯამში ინფლაცია 0.3 პპ-ით შეამცირა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია




ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




მარცში ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ 6.0% შეადგინა. ადგილობრივი ინფლაციის ზრდაზე ყველაზე მეტი გავლენა პურის, ხორცისა და ყველის ფასებს აქვს (ჯამში 3.0 პპ-ით). შერეულად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია 4.9%-ია, რაშიც ყველაზე დიდი წვლილი ოქროს ბეჭედს, ზეთსა და შოკოლადს (ჯამურად 2.7პპ) აქვს. იმპორტირებული პროდუქტების დაბალ ინფლაციას (0.5%) მეტწილად ტექნიკა განაპირობებს, თუმცა წინა თვესთან შედარებით გაზრდილის საწვავის ფასების გამო იმპორტირებულმა ინფლაციამ მოიმატა.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2026 წლის წონები	მარ26/თებ26		მარ26/მარ25	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.8%	0.8%	4.3%	4.3%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.6%	0.9%	0.3%	7.5%	2.5%
სურსათი	30.8%	1.0%	0.3%	7.9%	2.4%
პური და პურპროდუქტები	6.3%	1.0%	0.1%	9.6%	0.6%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	0.7%	0.1%	9.6%	0.6%
თევზი	0.5%	0.2%	0.0%	21.2%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	-1.0%	-0.1%	4.5%	0.3%
ზეთი და ცხიმი	2.7%	1.7%	0.0%	7.7%	0.2%
ხილი, ყურძენი	1.8%	3.1%	0.1%	13.4%	0.2%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	2.2%	0.1%	4.9%	0.2%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.8%	2.1%	0.1%	5.3%	0.1%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.3%	0.0%	0.3%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	0.4%	0.0%	2.7%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.6%	1.4%	0.1%	6.2%	0.4%
დანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.3%	0.4%	0.0%	-0.8%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.7%	0.3%	0.0%	0.6%	0.1%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.0%	-0.9%	0.0%	-3.2%	-0.2%
ჯანმრთელობის დაცვა	8.3%	0.0%	0.0%	4.2%	0.3%
დრანსპორტი	11.4%	2.9%	0.3%	4.0%	0.5%
კავშირგაბმულობა	3.1%	0.2%	0.0%	-4.3%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	4.2%	0.7%	0.0%	-1.5%	-0.1%
განათლება	5.3%	0.1%	0.0%	2.4%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	0.5%	0.0%	7.0%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.1%	0.2%	0.0%	9.8%	0.5%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	59.8%	1.1%	0.7%	5.9%	3.5%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	7.9%	0.7%	0.1%	-0.4%	0.0%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	5.6%	-0.8%	0.0%	-1.8%	-0.1%
მომსახურება	26.7%	0.5%	0.1%	3.3%	0.9%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


თებერვალში საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად, 9.9 მლრდ ლარით, 17.0%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამოორიციხვით 18.5%-ით) და 67.9 მლრდ ლარი შეადგინა. თვის წრილში კი, იმავე მაჩვენებელმა 1.0 მლრდ ლარით მოიმატა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეროვნული ვალუდის სადეპოზიტო ვალდებულებები 9.5 მლრდ ლარით (34.8%-ით), ხოლო წინა თვესთან შედარებით 1.5 მლრდ ლარით (4.3%-ით) გაიზარდა და 36.7 მლრდ ლარი შეადგინა. რაც შეეხება, უცხოური ვალუდის დეპოზიტებს, მისმა მოცულობამ წლიურად 0.4 მლრდ ლარით (1.2%) მოიმატა, ხოლო წინა თვესთან შედარებით 0.5 მლრდ ლარის (1.5%-ით) ოდენობით კლება დაფიქსირდა.

სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


თებერვალში მთლიანი დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით გაიზარდა და 6.0%-ს გაუცოლდა. ეროვნული ვალუდით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 7.4%-მდე, შემცირდა. ხოლო უცხოური ვალუდით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი, 0.2 პპ-ით, 2.0%-მდე, გაიზარდა. რეზიდენტების ლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი 0.4 პპ-ით 10.3%-მდე შემცირდა. ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებმა 0.5 პპ-ით, 1.7%-მდე, მოიმატა. რეზიდენტების აშშ დოლარით განთავსებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი 0.04 პპ-ით, 2.4%-მდე შემცირდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუდების მიხედვით (ნაკადი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების დოლარიზაცია თებერვალში 1.2 პპ-ით შემცირდა და 46.0% შეადგინა. თებერვლის ბოლოს ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.8 პპ-ით, 60.5%-მდე, შემცირდა, ხოლო იურიდიული პირების დოლარიზაციამ 1.3 პპ-ით, 35.3%-მდე, მოიკლო. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია თებერვალში, წინა თვესთან შედარებით 1.4 პპ-ით, 54.5%-მდე შემცირდა.

დემოზიფიკაციის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)




ფიზიკური პირების ვალდანი დემოზიფიკაციის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)




თებერვალში გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდის ტემპი 0.9 პპ-ით გაიზარდა და წლიური მაჩვენებელი 14.2%-ს გაუცოლდა. აღნიშნული, როგორც უცხოური ვალუდის, ისე ეროვნული ვალუდის დაკრედიტების ზრდის ტემპის მატებამ განაპირობა. კერძოდ, უცხოური ვალუდის სესხების ზრდის ტემპი 1.2 პპ-ით, 12.6%-მდე, გაიზარდა, ხოლო ეროვნული ვალუდით დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი თვის წრილში 0.6 პპ-ით გაიზარდა და 15.4% შეადგინა. მთლიანი სესხების ზრდაში დაახლოებით 8.7 პპ-იანი წვლილი ლარის, ხოლო 5.5 პპ უცხოური ვალუდის დაკრედიტებამ შეიძინა. საკრედიტო პორტფელის ზრდას მეტწილად ბიზნესის სესხები განაპირობებს, რომლის წვლილიც მთლიანი სესხების ზრდაში 6.7 პპ-ს შეადგენს.

სესხების წლიური ზრდის ტემპი (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით შემცირდა და 13.6% შეადგინა. უცხოური ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 8.8% შეადგინა. ეროვნული ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 15.8%-მდე, შემცირდა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნაპალი)




საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაპალი)



თებერვალში იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.1 პპ-ით გაიზარდა და 13.0% შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით, 11.9%-მდე, შემცირდა. წინა თვესთან შედარებით იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთმა 0.1 პპ-ით მოიკლო და 9.1% შეადგინა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.2 პპ-ით, 8.0%-მდე, გაიზარდა.


თებერვალში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია უცვლელად, 42.2%-ზე, შენარჩუნდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით გაიზარდა და 65.2% შეადგინა. ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია კი 0.1 პპ-ით შემცირდა და 22.4% შეადგინა. თებერვალში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 62.0 მლნ ლარით გაიზარდა და 776.1 მლნ ლარს გაუტოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 36.9% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბარეო სექტორი


თებერვალში საქონლის რეგისტრირებული საბარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან 1.4%-ით გაუმჯობესდა და 790.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 8.4%-ით, 1.3 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო ექსპორტი 26.6%-ით გაიზარდა და 546.3 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. აქედან, მსუბუქი ავტომობილების წვლილმა ექსპორტში -9.2 პპ, ხოლო იმპორტში -9.4 პპ შეადგინა. ადგილობრივი ექსპორტის ზრდა თებერვალშიც გაგრძელდა და წლიურ ჭრილში 71.8%-ით, 346.9 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (თებერვალი 2026)




წყარო: საქსტატი

იმპორტი - თებერვალში საქონლის იმპორტზე ზრდის მიმართულებით ძირითადად შუალედური მოხმარების საქონელი მოქმედებდა, შუალედური საქონლის წვლილმა 8.9 პპ წვლილი შეადგინა. საპირისპიროდ, უმნიშვნელოდ შემცირებულია საინვესტიციო საქონლის იმპორტი, -0.8 პპ კონტრიბუციით.

შუალედური მოხმარების საქონლიდან აღსანიშნავია ნედლი ნავთობის იმპორტის ზრდა. სამომხმარებლო საქონელში გაზრდილია ნავთობპროდუქტების და სამკურნალო საშუალებების იმპორტი. საპირისპიროდ, საგრძობლად შემცირებულია მსუბუქი ავტომობილები -9.4 პპ წვლილით. რაც შეეხება საინვესტიციო საქონლის იმპორტის კლებას, ის ერთჯერადი ფაქტორებით იყო გამოწვეული.


³ 2025 წლის იანვარში შემოდანილი ხელოვნების ნიმუშების გამორიცხვით

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების ჯგუფის წრილში, თებერვლის იმპორტის წლიურ ცვლილებაში ევროკავშირის ქვეყნები მცირედით ზრდის მიმართულებით მოქმედებდა, კერძოდ, წვლილმა 1.0 პპ შეადგინა. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში, სასაქონლო წრილში ზრდას ძირითადად ნავთობპროდუქტები და სამკურნალო საშუალებები განაპირობებდა. საპირისპიროდ მნიშვნელოვნად შემცირდა მსუბუქი ავტომობილების იმპორტი. შედეგად, ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში წლიურად 22.8%-დან 15.0%-მდე შემცირდა.

ქვეყნებს შორის იმპორტი მეტწილად იზრდებოდა თურქეთიდან, ჩინეთიდან და სომხეთიდან, ხოლო კლების მიმართულებით ყველაზე დიდი წვლილი აშშ-ს, გერმანიასა და იაპონიას ჰქონდა.


თურქეთიდან იმპორტზე დანახარჯების ზრდა არმაცურას, ნავთობპროდუქტებსა და სამკურნალო საშუალებებს უკავშირდებოდა.

- ჩინეთიდან იმპორტი ძირითადად გაზრდილია სამრეწველო პროდუქციის ხარჯზე.
- სომხეთიდან გაზრდილი იმპორტი სპილენძისა და ძვირფასი ლითონების მადნებს უკავშირდება.
- აშშ-დან შემცირებული იყო მსუბუქი ავტომობილების იმპორტი.

აღნიშნულ თვეში, ევროკავშირისა და 4 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 74.1% მოდიოდა.


აღსანიშნავია, რომ პროდუქტების წრილში, თებერვალში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ნავთობპროდუქტებსა და სამკურნალო საშუალებებს ეკავა. მაღალი წილის მიუხედავად, კლებაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი მსუბუქ ავტომობილებს ჰქონდა (-9.4 პპ).

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (თებერვალი 2026)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)




წყარო: საქსტატი


ექსპორტი - თებერვალში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის წლიური ზრდა ძირითადად განპირობებული იყო შუალედური (18.3 პპ კონტრიბუციით) და სამომხმარებლო (7.6 პპ კონტრიბუციით) საქონლის ექსპორტით. ასევე უმნიშვნელოდ გაზრდილია საინვესტიციო საქონელი (0.7 პპ კონტრიბუციით).

შუალედური მოხმარების საქონლის ჯგუფიდან გაზრდილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ძვირფასი ლითონების მადნებისა და ფეროშენადნობების ექსპორტი.

სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან გაზრდილია ნავთობპროდუქტების ექსპორტი. ასევე გაზრდილია ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, თხილის, ლიმონათების, მინერალური წყლებისა და ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი. მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი განაგრძობდა შემცირებას და უარყოფითი 9.2 პპ წვლილი შეიტანა ზრდაში.



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

ქვეყნის ჯგუფის წილში, თებერვლის შესაქონლო წილი ცვლილებაში, ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული საქსაქონლო შემოსავლების უარყოფითმა წვლილმა -0.8 პპ შეადგინა. ეს ძირითადად ძვირფასი ლითონების მადნების შესაქონლო კლებას უკავშირდება. თუმცა გაზრდილია თხილისა და ფეროშენადნობების შესაქონლო.

ამავე პერიოდში, ქვეყნებს შორის, საქსაქონლო შემოსავლები ძირითადად ჩინეთიდან და რუსეთიდან გაიზარდა. მეორე მხრივ, შესაქონლო ცენტრალური აზიის ქვეყნებში შემცირებულია, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის კლების გამო.

ჩინეთში ძირითადად გაზრდილია ძვირფასი ლითონების მადნების შესაქონლო, ხოლო რუსეთში - ალკოჰოლური სასმელების, მინერალური წყლებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესაქონლო.

თებერვალში საქონლის შესაქონლო უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (21.2%-იანი წილი მთლიან შესაქონლო) ეჭირა. ძირითადი საქსაქონლო პროდუქტებიდან გაზრდილია ძვირფასი ლითონების მადნების, სპილენძის მადნების, ფეროშენადნობებისა და თხილის შესაქონლოდან მიღებული შემოსავალი.



წინა წელთან შედარებით, სასაქონლო ჯგუფების მიხედვით შესაქონლო უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ფულადი გზავნილები - თებერვალში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 17.1%-ით, 295.3 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა 14.8%-ით, 33.0 მლნ აშშ დოლარამდე. ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია ევროკავშირიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა (8.7 პპ) შეიტანა წლიური 19.8%-იანი ზრდით. 14.4%-ით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები (კონტრიბუცია 2.8 პპ). რუსეთის დადებითი კონტრიბუცია კი თებერვალში 2.3 პპ-ს გაუტოლდა.

თებერვალში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (45.4%), აშშ (18.4%) და რუსეთი (11.9%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (18.8%), გერმანიის (8.5%) და საბერძნეთის (7.9%) მაღალი წილი.

ქვეყნის წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (თებერვალი 2026)

ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნის მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6956-დან 2.6818-მდე (0.5%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ 3.1602-დან 3.1723-მდე (0.4%) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6759 და 3.1581 შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.6908 იყო, მინიმალური კი - 2.6740.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მარყვობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები თანაბრად იყო გადახრილი.


თებერვალში, საშუალოდ დოლართან მიმართებაში, როგორც თვის, ასევე წლის მთლიანად, გაუფასურდა თურქული ლირა, ხოლო რუსული რუბლი გამყარდა. თვის დონეზე ასევე შესამჩნევი იყო ევროს, სომხური დრამის და ლარის გამყარება, აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების⁴ თვიური ცვლილება დოლართან მიმართებით (თებერვალი 2026; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) წლიურად 1.7%-ით, თვის მთლიანად კი 0.9%-ით გაუფასურდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს (NEER), თებერვალში წლიურად 3.3%-ით გამყარდა, თვის მთლიანად კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.


ზოგადად, ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტულ ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედებს.

სავაჭრო პარტნიორთაგან თებერვალში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, ბელარუსსა და აზერბაიჯანში საქართველოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო სომხეთში, აშშ-სა და ევროზონაში - დაბალი.

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალი ნარჩუნდება.


⁴წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპაჭრო პარცნიორი ქვეყნების ინფლაციები (თებერვალი 2026)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


თებერვალში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 16 კომერციული ბანკი, 2 მიკრობანკი და 7⁵ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაზრდილია. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 531.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 278.7 მლნ აშშ დოლარით, წინა წლის თებერვალთან შედარებით კი - 443.9 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 13.2%-ით, წლიურად კი 3.7%-ით გაიზარდა.

თებერვალში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუდით ლარის შექმნა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ⁶ გარიგებებით ხდებოდა (99.4%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,425.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 618.6 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის წრიულში - 534.6 მლნ აშშ დოლარით. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 12.5% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით, თვის განმავლობაში, ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 429.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

⁵ რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
⁶ სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუდირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.


საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



ანგარიშსწორების თარიღით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საოტ გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა



* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუდით ლარის შექმნისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნებს


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე გაზრდილია როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება.

საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, თებერვალში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 298.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 372.8 მლნ აშშ დოლარით) და 1,828.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 320.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 171.8 მლნ აშშ დოლარით) და 1,597.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შექმნაში, ისე გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

თებერვალში სავალუტო ფორვარდ⁷ გარიგებებით (უცხოური ვალუდით ლარის შექმნა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუდით ვაჭრობა წლიურად 3.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში - 11.8 მლნ აშშ დოლარით) და 21.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 1.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუდით ლარის შექმნისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნებს

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა




* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუდით ლარის შექმნისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნებს

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვლის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 358.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 6.65 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები, მონეტარული ოქროს გადაფასება და სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოური ვალუტის წმინდა შექმნა, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.


⁷ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების შეკირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

თებერვალში სადეპოზიტო სერვიფიკაციების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადეპოზიტო სერვიფიკაცი გაიცა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადეპოზიტო სერვიფიკაცი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერვიფიკაციების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


თებერვალში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 220.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. თებერვალში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 50 და 90 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 187.4 მლნ ლარით გაიზარდა და 11,405.5 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 70.9%-ს კომერციული ბანკების, 9.9%-ს ეროვნული ბანკის, 15.0%-ს რეზიდენტების, ხოლო 4.3%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.**

სადეპოზიტო სერვიფიკაციების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


თებერვალში როგორც სადეპოზიტო სერვიფიკაციების საპროცენტო განაკვეთები, ასევე სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთებიც შემცირდა. კერძოდ, თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერვიფიკაციებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 7.9%-მდე, შემცირდა. ექვსთვიანი და ერთ წლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.2 და 0.1 პპ-ით შემცირდა და შესაბამისად 7.9% და 8.0% შეადგინა. 3 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები 0.2 პპ-ით, 8.7%-მდე, შემცირდა. უცვლელად შენარჩუნდა 5 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი 9.1%-ზე. 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები 0.4 პპ-ით, 9.4%-მდე, შემცირდა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შამოსავლიანობის გრადი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა თვის წრილში 1,671.0 მლნ ლარით (წლიურად 628.9 მლნ ლარით) 19,323.3 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეტწილად უცხოური ვალუტის რესურსის ზრდით არის განპირობებული. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (84.7%), რომლის მოცულობაც თვის წრილში 1,244.3 მლნ ლარით (8.2%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვის წრილში 426.7 მლნ ლარით (16.8%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვის წრილში 0.1 პპ-ით გაიზარდა და 7.7% შეადგინა. ხოლო უცხოური ვალუტის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი უცვლელად 1.5%-ზე შენარჩუნდა.

აღსანიშნავია, რომ თებერვალში ფულადი ბაზრის რესურსის 30.0% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 69.8% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონეტარული აბრეგაჟები

თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 590.0 მლნ ლარით (6.4%-ით) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 8.4 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი, წინა თვესთან შედარებით, 4.3 მლნ ლარით (0.1%-ით) შემცირდა.

თებერვალში სავალუტო აუქციონების გამოყენებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა თვის განმავლობაში 429.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 127.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები 301.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.


თებერვალში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 418.9 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 854.2 მლნ ლარს გაუცოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში, ნაღდ ფულზე მოთხოვნა 38.7 მლნ ლარით გაიზარდა. ამასთან რეფინანსირების სესხების მოცულობა, წინა თვესთან შედარებით, 470.0 მლნ ლარით შემცირდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი 430.0 მლნ ლარით შემცირდა. თებერვალში დაიფარა 20.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები და განხორციელდა იმავე მოცულობით განთავსება. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, თებერვალში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 1,400.0 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 3,370.6 მლნ ლარს გაუცოლდა.


თებერვალში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 0.3 მლრდ ლარით, ხოლო ფართო ფულის M2 აგრეგატის მოცულობა 0.7 მლრდ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

